გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 58

2025 წლის 11 აპრილი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 20 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მიზანია გორის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. იურიდიული განყოფილების შემადგენლობაში დღეის მდგომარეობით შედიან მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი და 5 საჯარო მოხელე.

იურიდიული განყოფილება 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე (შემდგომში „საანგარიშო პერიოდი“) ახორციელებდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებითა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. აღნიშნულ პერიოდში განყოფილება უზრუნველყოფდა მერის (კანონისმიერი წარმომადგენლის) მიერ გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, მერიის ინტერესების დაცვას მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოებში; ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარის, მე-3 პირის სტატუსით მონაწილეობას, შესაბამისი სარჩელის (განცხადების, შუამდგომლობის), შესაგებლის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შეგებებული სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, კერძო საჩივრების და საჩივრების მომზადებას და წარმოებას საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში. გადაწყვეტილებების (განჩინებების) გასაჩივრების, სარჩელის ან სააპელაიო და საკასაციო საჩივრის ცნობის შესახებ, ასევე სასამართლოს მიერ შეთავაზებული მორიგების პირობების მარწმუნებლისათვის გაცნობას და სავარაუდო შედეგების განმარტებას, მარწმუნებლის გადაწყვეტილების საფუძელზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების დაცვას საერთო სასამართლოების სიტემაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების და შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვას, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადაგზავნას სააღსრულებო წარმოების დასაწყებად, მონაწილეობას გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დაწყებულ წარმოებაში. ამ მიზნით იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფდა მერიის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ ფუნქციონირებას; იურიდიული განყოფილება შეისწავლიდა და უზრუნველყოფდა მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და ახორციელებდა მათ ვიზირებას; ამზადებდა სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების (ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) პროექტებს (დადგენილებები, განკარგულებები, ბრძანებები, წერილები და სხვა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ახორციელებდა ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების პროექტების მომზადებას/შესწავლას. უზრუნველყოფდა მერიის იურისდიქციას დაქვემდებარებული სამსახურებისა და გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების იურიდიულ კონსულტირებას, კომუნიკაციას გარე ორგანიზაციებთან ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებით. ახორციელებდა გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შექმნას, მათში

ცვლილებების შეტანასა და სარეგისტრაციოდ წარდგენას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერ მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ საფუძველზე მოქალაქეებზე გასცემდა საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობებს. საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილება ჩართული იყო გორის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი, კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიების, საბჭოებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, მათ შორის ისეთი მუდმივმოქმედი კომისიების/სამუშაო ჯგუფების/საბჭოების მუშაობაში, როგორიცაა: პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია, გორის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია და სხვა.

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ნაწილის შესახებ არსებული რაოდენობრივი ინფორმაცია:

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა - MSDA”-ს მეშვეობით საანგარიშო პერიოდში იურიდიულ განყოფილებას შესასრულებლად დაეწერა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით 707 (შვიდას შვიდი) შემოსული კორესპონდენცია და 1291 (ათას ორას ოთხმოცდათერთმეტი) შიდა წერილი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი). შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე ან/და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესრულებულია 437 (ოთხას ოცდაჩვიდმეტი) გასული პასუხის პროექტი, 322 (სამას ოცდაორი) შიდა კორესპონდენცია და 242 (ორას ორმოცდაორი) ბრძანების პროექტი. განყოფილების მიერ ხორციელდება დამატებით სხვა სამსახურების მიერ შექმნილი დოკუმენტების (გარდა შიდა დოკუმენტაციისა) შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში შესწორება და ვიზირება, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში შესწავლილ და ვიზირებულ იქნა 20530 (ოცი ათას ხუთას ოცდაათი) დოკუმენტის პროექტი.

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განყოფილების მიერ „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერ მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად გაცემულია 10 (ათი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ან/და გორის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურების მომართვის საფუძველზე იურიდიული განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში შექმნილია და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილია 23 (ოცდასამი) საკრებულოს დადგენილების პროექტი და 44 (ორმოცდაოთხი) საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული განყოფილება ჩართული იყო მხარედ (მოსარჩელედ ან მოპასუხედ) 144 (ასორმოცდაოთხი) სასამართლო დავაში (სხვადასხვა ინსტანციის

სასამართლოში), აქედან, დღეის მდგომარეობით სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარეობს (ამ დროისათვის არ დასრულებულა) 119 (ასცხრამეტი) სასამართლო დავა, ხოლო 25 (ოცდახუთი) სასამართლო დავა დასრულებულია. მითითებული 144 (ასორმოცდაოთხი) დავიდან გორის მუნიციპალიტეტის მერია მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს/წარმოადგენდა 45 (ორმოცდახუთი) სასამართლო დავაში და მოპასუხე მხარეს წარმოადგენს/წარმოადგენდა 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) სასამართლო დავაში. ზემოაღნიშნული, დასრულებული 25 (ოცდახუთი)სასამართლო დავიდან 2 (ორი) დავა დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების საწინააღმდეგოდ, 1 (ერთი) დავა ნაწილობრივ გორის მუნიციპალიტეტის ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო 22 (ოცდაორი) დავა სრულად გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების სასარგებლოდ.

მოკლე ინფორმაცია 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე სასამართლოებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით იხილეთ დანართი 1-ის სახით.

დანართი 1 - ინფორმაცია 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე გორის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მონაწილეობით სასამართლოებში წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით

N	დავის მხარეები		დავის საგანი	დავის საგნის ღირებულება	რა შედეგით დასრულდა , რომელ ინსტანციამია, მხარემ გაიხმო თუ არა სარჩელი	რომელი მხარის სასარგებლოდ დასრულდა დავა	შენიშვნა
	მოსარჩელე	მოპასუხე					
1	შპს ალონისი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	თანხის დაკისრება	232,744.25 ლარი	დასრულდა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისრა 143 921 ლარის ანაზღაურება	შპს ალონისი	დასრულდა
2	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ა(ა)იპ "დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი"	იჯარის დავალიანების დაკისრება, ფართის გამოთავისუფლება;	1956 ლარი (იზრდება დროის გასვლის პროპორციულად)	პირველ ინსტანციაში სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქმე გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში.		მიმდინარე

3	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	შპს დია	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება	2850	პირველი ინსტანციის სასამართლოშია		მიმდინარე
4	გურამ ნოზაძე	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები, გორის მუნიციპალიტეტის მერია	1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის N1-1/2280 ბრძანება გორის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გორი-ცხინვალის გზ. მე-2 კილომეტრზე მდებარე 29500 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გადაცემის თაობაზე.2. ბათილად უნდა იქნეს ცნობილი გორის მუნიციპალიტეტსა და საფეხბურთო კლუბ "დილას" შორის 2012 წლის 23 თებერვლის N5 უზუფრუქტის ხელშეკრულება. 3. ბათილად იქნეს ცნობილის საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების 2005 წლის 25 ოქტომბრის N2-1 დადგენილების მე-2 პუნქტის დანართი N2-ის ის ნაწილი, სადაც სახელმწიფოსთვის გადასაცემი ქონების ჩამონათვალში მითითებულია გორის სტადიონი	15000 ლარი	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 ივლისის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო და თბილისის საქალაქო სასამაღთლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა გურამ ნოზაძის სარჩელი საქართველოს პროფესიული გავშირების გაერთიანების მიმართ გაერთიანების ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ 2005 წლის 25 თებერვლის N2-1 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 მარტის განჩინებით გურამ ნოზაძის სარჩელზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე შეჩერდა საქმის წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის წარმოებაში არსებულ N2/25364-19 (მოსარჩელე გურამ ნოზაძე, მოპასუხე საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების წინააღმდეგ) საქმის წარმოების დასრულებამდე.		მიმდინარე
5	იზოლდა გოცირიძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. (სასარჩელო მოთხოვნა: ბათილად იქნას ცნიობილი გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 5 თებერვლის 573 ბრძანება „უნებართვო რეკონსტრუციის გამო დაჯარიმების შესახებ"	2000	სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ძალაში დარჩა გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება უნებართვო რეკობნსტრუქციის გამო დაჯარიმების შესახებ.		მიმდინარე

6	გაიოზ პაპუაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 16 სექტემბრუის N2849 აქტის ბათილობა 21.76 მ კვ ფართის ნაწილში.		გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი დაკმაყოფულდა.. გორის მუნიციპალიტეტის მიერ საქმე გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში,		მიმდინარე
7	ნუგზარ ჯანეზაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის აღიარება. დადებულად ჩაითვალოს 1992 წლის 15 ივლისს ნუგზარ ჯანეზაშვილსა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან N1 საბინაო საექსპლოატაციო ორგნიზაციას შორის დადებული N1-857 ხელშეკრულება		მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
8	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	შპს ემ ბი სი	პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება. 18480 ლარი	18480 ლ	სარჩელი პირველი ინსტანციის სასამათლოშია		მიმდინარე

9	ნუკრი მამესწარაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ადმ.სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ნუკრი მამესწარაშვილს შორის 2012 წლის 06 ნოემბერს გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულება შეწყდა, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილით აცნობა, რომ მას ვადამდე შეუწყდა 2012 წლის 06 ნოემბერს გაფორმებული № 14 და № 15 აღნაგობის ხელშეკრულებები, სწორედ აღნიშული წერილის შემდეგ დაიფარა დავალიანება. შესაბამისად, ნუკრი მამესწარაშვილი ითხოვს გაუქმდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბრანება N867-ს და N863-ს, ძალაში დარჩეს გაფორმებული ხელშეკრულებები და დაუბრუნდეს მიწის ნაკვეთები.		მიმდინარე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
10	დიმიტრი შარიფოვი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; საცხოვრებელი ბინაზე გაცემული საკუთრების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეობს პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
11	ალექსი მერებაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა, მოსარჩელე ითხოვს ატენის ადმინისტრაციულ ერთეულსი მერის წარმომადგენლის ცნობის ბათილად ცნობას		სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება..		მიმდინარე
12	გურამ ნადირაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა. შინდისის თემის საკრებულოს 2007 წლის ცნობების ბათილობა.		საქმე უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია		მიმდინარე

13	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ,,მ-პროექტი"	გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,მ-პროექტი"-ს შორის 2018 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N85 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 22,400 ლარის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება.	22,400 ლარი	საქმე მიღებულია წარმოებაში და პროცესი აღნიშნულ სამოქალაქო დავაზე ჯერ არ ჩანიშნულა.		მიმდინარე
14	გორის მუნიციპალიტეტის მერია	კობა ყაულაშვილი	2016 წლის 09 მარტის ფ/პ კობა ყაულაშვილის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის დავალიანების და პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება. მიჯარის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულების პირობა საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით, კერძოდ, მას 2021 წლის 14 ივლისის მდგომარეობით ერიცხება დავალიანება გადასახდელი თანხის 13401 ლარის ოდენობით.	13 401 ლარი	საქმე მიღებულია წარმოებაში და პროცესი აღნიშნულ სამოქალაქო დავაზე ჯერ არ ჩანიშნულა.		მიმდინარე

15	ნანა არბოლიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მოსარჩელემ სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა 1. ,,ინდივიდუალური სახლის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 17 ივნისის N20-202116844 წერილის ბათილად ცნობა. 2. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ,,სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების შესახებ "18.06.2021 წლის N20-202116844 წერილის ბათილად ცნობა.		საქმეზე არ დასრულებულა დავა და მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
16	მაია სიჭინავა	გორის მუნიციპალიტეტის მერია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რის შემდეგაც მაია სიჭინავამ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აქტების ბათილად ცნობა, კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება მაია სიჭინავას საკუთრების რეგისტრაციის შესახებ, საჯარო რეესტრის მიერ 2020 წლის 03 მარტის გადაწყვეტილება გორის მუცუპალიტეტის სახელზე 160 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ. ასევე გორის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 აგვისტოს N4821 ბრძანება, რომლის საფუძველზეც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 160 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართობი მუნიციპალიტეტის საკუთრებად.		დასრულდა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
17	დიმიტრი გიგუაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია -	ინდ. აქტის ბათილად ცნობა, მოსარჩელე ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული მითითება უნებართვო მშენებლობასთან დაკავშირებით		მოსარჩელის მოთხოვნა პირველ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება		მიმდინარე

18	სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო"	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალურ ადმინისტრაცულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა საოჯახი მეუურნეობის მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ"		სარჩელი დაკმაყოფილდა. მიმდინარეობს აპელაციაში		მიმდინარე
19	მეგი ქერდიყოშვლი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის ბათილდ ცნობა. ბოშურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წამოამდგენლის ცნობის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს უზენაეს სასამართლოში		მიმდინარე
20	შპს იბოლია	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის ანაზრაურება		სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მიმდინარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
21	შპს მნათობი	გორის მუნიციპალიტეტის მერია -	მიწის ნაკვეთის საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემის შესახებ ინდ. აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარე მეორე ინსტანციაში		მიმდინარე
22	ჯიმშერ თვაური	გორის მუნიციპალიტეტის მერია -	მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ინდ, აქტის ბათილად ცნობა		პირველ ინსტანციაში სარჩელი არ დაკმაყფიდა. მიმდინარეა თბილისის სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
23	ნანა კორინთელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	უძრავი ქონების რეგისტრაციის თაობაზე ინდ აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
24	ოლღა გურწიევა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მიწის რეგისტრაციის საფუძველი ინდ. აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს მეორე ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
25	სოფიო კანდელაკი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის გამო დაჯარიმების შესახებ ინდ. აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
26	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	ა(ა)იპ "ქალი და განვითარება"	2019 წლის 22 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ "ქალი და განვითარება"-ს შორის გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, ა(ა)იპ "ქალი და განვითარება"-ისათვის გადაცემული ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ. , N184 -ში მდებარე ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და მესაკუთრისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში ჩაბარება.		მიმდინარე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
27	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	შპს "ქეთლაინი"	"გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება შპს "ქეთლაინი"-სთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ.	1586 ლარი	საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს"ქეთლაინი"- ს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 1586 ლარის გადაგხდა, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული		მიმდინარე
28	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	ი.მ. "გიორგი ზუბიაშვილი"	"გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ გიორგი ზუბიაშვილისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ.	190 ლარი	საქმე დასრულდა. სარჩელი დაკმაყოფილდა და ი.მ. გიორგი ზუბიაშვილს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 190 ლარის გადახდა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა

29	ირმა გოგიაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ბათილად იქნეს ცნობილი „ირმა გოგიაშვილის გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 8 სექტემბრის №ბ20.202225157 ბრძანება. გორის მუნიციპალიტეტის მერიას გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ირმა გოგიაშვილის სამსახურიდან გათავისუფლებამდე დაკავებულ ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს ირმა გოგიაშვილისთვის იძულებითი განაცდურის სახით ყოველთვიურად თანამდებობრივი სარგოს 1210 ლარის (დარიცხული), საკლასო დანამატის 24.20 ლარის (დარიცხული), ჯამში 1234.20 (ათას ორას ოცდათოთხმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარის ლარის (დარიცხული) ანაზღაურება 2022 წლის 8 სექტემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.		მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო გათავისუფლების შესახებ ბრძანება და დაავალა გორის მერიას საქმის ხელახლა შესწავლა და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რაც ირმა გოგიაშვილის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც ირმა გოგიაშვილის მიერ გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში		მიმდინარე
30	ნაილი მელანაშვილი და ნანა არბოლიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ბათილად იქნეს ცნობილი „მობილობის შეუძლებლობის გამო ნაილი მელანაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 ივნისის №ბ20.202318018 ბრძანება და „მობილობის შეუძლებლობის გამო ნანა არბოლიშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 ივნისის №ბ20.202318019 ბრძანება. მოხდეს ნაილი მელანაშვილის და ნანა არბოლიშვილის სამსახურში აღდგენა იმავე ან ტოლფას/დაბალ თანამდებობაზე გორის მუნიციპალიტეტის მერიაში. ნაილი მელანაშვილს და ნანა არბოლიშვილს მიეცეთ განაცდური ხელფასი 1210 (დარიცხული) ლარის ოდენობით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე.		პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
31	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	ფ/პ ალექსანდრე ქარელი	2018 წლის 10 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიას და ფ/პ ალექსანდრე ქარელს შორის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაუხდელი აღნაგობის საზღაურის დავალიანების გადახდის დაკისრება.	3232 ლარი	მიმდინარე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
32	დავით მინდიაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მოსარჩელე ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი გორის მუნიციპალიტეტის მერიის 12/07/2021 წლის #20-2021193273 მითითება; გორის მუნიციპალიტეტის მერის 14/01/2022 წლის ბრძანება #ბ20.20220146; 02/09/2021 წლის ბრძანება # ბ20.20212456 და 19/05/2022 წლის ბრძანება #ბ20.202213955.		მიმდინარე მეორე ინსტანციაში		მიმდინარე
33	შპს ,,გეომეფი"	გორის მუნიციპალიტეტის მერია	გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,გეომეფს" შორის 2019 წლის 29 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N147 ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და პირგასამტეხლოს სახით დაქვითული თანხის დაბრუნება	35034.71 ლარი	მიმდინარე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
34	მერაბ მაქარაშვილი, რობერტ ბაბუნიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობას. საჯარო რეესტრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას.		მიმდინარე მეორე ინსტანციაში		მიმდინარე

35	ეკატერინა კოლრჩინა და ელენა ჭიღლაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ცნობებისა და დათვალიერების ოქმების ბათილად ცნობა		სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პირველ ინსტაციაში (დათვალიერების ოქმი და ცნობები დარჩა ძალაში, ბათილად იქნა ცნობილი მერიის მხრიდან მოთხოვნა იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ)	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
36	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს "საგზაო სამშენებლოს სამმართველო N1	პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება	24152.87 ლარი	მიმდინარე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
37	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ა(ა) იპ ასოციაცია ფსიქეა	უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
38	ზვიად განჯელაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მშენებლობის ნებართვაზე უარის თქმის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ბათილად ცნობა		საქმე მეორე ინსტანციაშია		მიმდინარე
39	აზა გაგლოევა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის ბათილად ცნობა. მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის თაობაზე		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
40	გენადი და გიული გოგიაშვილები	გორის მუნიციპალიტეტის მერია	კარალეთის თემის საკრებულოს ცნობების არარად აღიარება		სარჩელი პირველ და მეორე ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა. საქმე მიმდინარეა უზენაეს სასამართლოში		მიმდინარე
41	თინათინ ტლაშაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 17 ოქტომბრის N1-085 ბრძანების და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2010 წლის 25 მაისის 1758 მიმართვის ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეა სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
42	რიმა ჩქარეული	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ატენის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის 2022 წლის 03 ნოემბრის N29-2022307132 წერილის და გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 29 დეკემბრის N20-2022363206 წერილის ბათილად ცნობა		საქმე დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. რიმა ჩქარეულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ატენის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილი და გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საკითხის ხელახლა შესწავლა		მიმდინარე
43	ნონა გიგაია	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, ქონების დაბრუნება		დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მიმდინარეობს მეორე ინსტანციაში		მიმდინარე
44	დავით ჭალიძე	გორის მუნიციპალიეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება		დასრულდა საკასაციო სასამართლოში, მერიას დაეკისრა საკითხის ახლიდან გამოკვლევა	ნაწილობრივ მოსარჩელეს სასარგებლოდ, ნაწილობრივ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ	დასრულდა
45	შპს ელიტ ბილდერს გრუპი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შესყიდვების ხელშეკრულების შეწყვეტის გაუქმება		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამარრთლოში		მიმდინარე
46	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ვეგა+	პირგასამტეხლოს დაკისრება	23 434ლ.	მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამარრთლოში		მიმდინარე
47	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს "ჰიდრა"	პირგასამტეხლოს დაკისრება	10 683ლ	მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამარრთლოში		მიმდინარე
48	ოლღა გურწიევა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამარრთლოში. შეჩერებულია წარმოება სასამართლოს მიერ		მიმდინარე
49	ციალა მჭედლიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამარრთლოში		მიმდინარე

50	ხათუნა ქოთოლაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდულაუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა		საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოშია		მიმდინარე
51	ნათია გიუნაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის ბათილად ცნობა		მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
52	ალექსი მერებაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ქმედების განხორციელების დავალება, ნარჩენების გატანაა		სარჩელი დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
53	შპს ტირიფონის ბაღები	გორის მუნიციპალიტეტის მერუია	ინდ აქტის ბათილობა		საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოშია		მიმდინარე
54	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს აგროტერმინალი	ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა		სარჩელი დაკმაყოფილდა პირველ ინსტანციაში	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
55	გორის მუნიციპალიტეტის მერია	კობა საური	2014 წლის 03 ივნისის ოჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის და პირგასამტეხლოს დავალიანების გადახდის დაკისრება ფ.პ. კობა საურისთვის 3/ნ01011040186 გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ.	47 080	საქმე დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში და კობა საურს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა 47 080 ლარის გადახდა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
56	ფატიმა დოლუაშვილი-გრიბნოვი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახლის გამოცემის დავალდებულება		საქმე დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე მხარემ გაიხმო სარჩელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
57	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ,,აგრო მარტი"	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	1324,4	გორის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაეკისრა დასუფთავების დავალიანებ		მიმდინარე
58	მიშიკო არღუთაშვილი,ეკა მერებაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
59	სერგეი მაკიევი	ოთარ მაყიშვილი,გორის მუნიციპალიტეტის მერია	ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა		გორის რაიონულ სასამართლოში საქმე დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
60	ვლადიმერ შიუკაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნონა		საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოშია		მიმდინარე
61	შპს "მერეთელი"	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა		მოსარჩელემ სარჩელი გაიხმო	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
62	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა"	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
63	ნაზი საათაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ქმედების განხორციელების დავალება		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
64	თამარ ნათენაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
65	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ,,აკო"	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	1638,78	გორის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაეკისრა დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანება		მიმდინარე
66	ვერიკო ელისაშვილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; გორის მუნიციპალიტეტის მერია	მოსარჩელე ითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებები ვერიკო ელისაშვილის მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე უარის შესახებ. ვინაიდან ვერიკო ელისაშვილის მიწის ნაკვეთი ს/კ 66.54.23.121 ზედდებაშია მერიის საკუთრებაში რეგისტრირებილ მიწის ნაკვეთთან ს/კ 66.54.23.095. გორის მუნიციპალიტეტის მერია ჩართულია მესამე პირად		გორის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 3 თებერვლის განჩინებით მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა

67	ვახტანგ ბასილაშვილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; გორის მუნიციპალიტეტის მერია (მესამე პირი)	აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო დავა უკვე მიმდინარეობდა თუმცა ევგენი ბასილაშვილის სახელზე. ს/კ 66.53.15.718 ევგენი ბასილაშვილის ნაკვეთი მერიამ №20.202117626 ბრძანებით ბათილად ცნო N39-2021076137 ცნობა საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის შესახებ. ვინაიდან აღნიშნული ნაკვეთ მოიცავდა გზას და ქარსაფარ ზოლს. გარდა ამისა აღნიშნულ საქმეზე დამდგარია სისიხლის სამართლის პასუხისმგებლობა.		საქმე მიმდინარეა სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
68	ალექსი პავლიაშვილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; გორის მუნიციპალიტეტის მერია (მესამე პირი)	ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრაციაზე უარის შეასხებ		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
69	დავით ნადირაძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; გორის მუნიციპალიტეტის მერია მესამე პირი	ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრაციაზე უარის შეასხებ		საქმე მიღებულია წარმოებაში გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
70	თამაზ მაყაშილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; გორის მუნიციპალიტეტის მერია (მესამე პირი)	ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრაციაზე უარის შეასხებ		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
71	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	შპს "მეგა"	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	1940	საქმე დასრულ გორის რაიონულ სასამართლოში ვინაიდან მოპასუხე მხარესთან გაფორმდა ვალდებულების აღიარების შეთანხმება მოსარჩელე მხარემ გორის მუნიციპალიტეტის მერიამ სარჩელი გამოიხმო	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
72	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	შპს "შინდისის საავადმყოფო"	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	1100,83	საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში. სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს"შინდისის საავადმყოფოს" გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 1100.83 ლარის გადაგხდა, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული		მიმდინარე
73	გაიოზა ბერძნიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა		პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საქმე მიმდინარეა თბილისის სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
74	გორის მუნიციპალიტეტი ს მერია	ვასილ შავშიშვილი	2019 წლის 12 მარტის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის და პირგასამტეხლოს დავალიანების გადახდის დაკისრება ფ.პ. ვასილ შავშიშვილისთვის პ/ნ59001082037 გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ.	8158	საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
75	ხათუნა გოგიჩაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამერთლებრივი აქტის ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
76	შპს რეალი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალრ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა		საქმე დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე მხარემ სარჩელი გაიხმო	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
77	ვასილ თინიკაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების აქტის ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე

78	მანია, მაია და გიორგი ჯანეზშვილები	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მამკვიდრებლის კუთვნილი ქონების ფლობის თაობაზე ცნობის ბათილად ცნობა		პირველ ინსტანციაში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, საქმე მიმდინარეა თბილისის სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
79	ვაჟა ანდღულაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მიწის ნაკვეთზე მუნიციპალიტეტის რეგისტრაციის ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
80	რევაზ ბერძნიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მიწის ნაკვეთზე მუნიციპალიტეტის რეგისტრაციის ბათილად ცნობაა		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
81	რონალდ ვანიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	აუცილებელი გზის მოთხოვნა		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
82	ლეილა ილურიძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	საერთო სარგებლობის გზის დადგენა		სარჩელი დაკმაყოფილდა პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
83	მაია ბიბილაშვილი, ნუნუ ბიბილაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	საერთო სარგებლობის გზის დადგენა (სოფელი ვარიანი)		სარჩელი არ დაკმაყოფილდა პირველ და მეორე ინსტანციაში		მიმდინარე
84	როსტომი მიხანაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია(მესამე პირი)	ტყის ფონდში ითხოვს მიწის ნაკვეთის აღიარებას		პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მიმდინარეა თბილისის სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
85	დავით ბალახაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია(მესამე პირი)	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აღიარების მოთხოვნა		პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა		მიმდინარე
86	ტელეკომპანია თრიალეთი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მშენებლობის ნებართვის გაცემის დავალდებულება		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
87	ეკატერინე ჯღარკავა, კახი ბესიაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების აქტის ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
88	შპს ყავის სახლი შანზელიზე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტების ბათილად ცნობა	მიმდინარე გორის რაიონულ სასამართლოში			მიმდინარე
89	შპს ინრეტექნოლოგი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	მშენებლობის ნებართვის გაცემის დავალდებულება		პირველ ინსტანციაში სარჩელი დაკმაყოფილდა, საქმე მიმდინარეა თბილისის სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
90	თენგიზ გოგიაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია (მესამე პირი)	მიწის ნაკვეთის აღიარება		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
91	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს "რჩეული საცხობი	"გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება შპს რჩეული საცხობისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ.	2137	საქმე დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ვინაიდან მოპასუხე მხარესთან გაფორმდა ვალდებულების აღიარების შეთანხმება გორის მუნიციპალიტეტის მერიამ სარჩელი გამოიხმო	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
92	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. მალხაზ შოშიაშვილი	"გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ მალხაზ შოშიაშვილისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	4946,4	საქმე დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ვინაიდან მოპასუხე მხარესთან გაფორმდა ვალდებულების აღიარების შეთანხმება გორის მუნიციპალიტეტის მერიამ სარჩელი გამოიხმო	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა

93	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. ლიანა ზაგაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ ლიანა ზაგაშვილისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	1052,59	საქმე მიმდინარეა პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
94	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. ზურაბ სახვაძე	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ ზურაბ სახვაძისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	924,5	საქმე დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ვინაიდან მოპასუხე მხარესთან გაფორმდა ვალდებულების აღიარების შეთანხმება გორის მუნიციპალიტეტის მერიამ სარჩელი გამოიხმო	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
95	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. ეკატერინე ზარხოზაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ. ეკატერინე ზარხოზაშვილისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	797,88	საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს"შინდისის საავადმყოფოს" გორის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 797.88 ლარის გადაგხდა, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული		მიმდინარე
96	გიორგი ტერაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეა მეორე ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
97	ოთარ ბაბუნიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დავალდებულება და განაცდურის ანაზღაურება		საქმე მიმდინარეა პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
98	ნანული კამკამიძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა		საქმე დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში ბათილად იქნა ცნობილი გორის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 31 ივლისის N№20.202421323 ბრძანება ნანული კამკამიძის დამრღვევად ცნობისა და მისთვის სახდელის სახედ და ზომად 4000 ლარის შეფარდების შესახებ	ნანული კამკამიძე	დასრულდა
99	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ,,ხარება"	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება		2025 წლის 5დეკემბერს გაუფორმდა ვალდებულების აღიარების შეთანხმება. საქმე გამოხმობილია	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
100	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ ზურაბ ოთიაშილი (მეტალოპლასტმასი)	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება		გორის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაეკისრა დასუფთავების დავალიანება		მიმდინარე
101	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. თეა სამნიაშვილი	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება		დაფარა დავალიანება. საქმე გამოხმობილია	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
102	გიორგი ოქროშიაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის ბათილად ცნობა. მიწის ნაკვეთის საკუთრების დადგენის თაობაზე		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
103	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ვატოილი	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
104	ვასილ მახარაშილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის ბათილად ცნობა		საქმე მიმდინარეა გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
105	შპს "ლვ ინვესთმენთ"-ი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ბათილად იქნას ცნობილი 2020 წლის 27 ივლისის გორის მუნიციპალიტეტის პირობითი გამოცხადებული აუქციონის N10 ხელშეკრულების 2.5 მუხლი, რომელიც მყიდველს უწესებს საპრივატიზაციო/საინვესტიციო პირობას		მიმდინარეობს პირველ ინსტანციაში		მიმდინარე

106	როინ გოგიაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილი 2024 წლის 8 იანვრის N20-2024008370 წერილი და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური ოფისის 2024 წლის 11 იანვრის N882024007952-03 გადაწყვეტილება ბათილად იქნას ცნობილი და დაევალოს სსიპ -საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 25 მარტის 17:00 საათიდან 2021 წლის 9 აპრილის 17:00 საათამდე პერიოდში ჩატარებული N104446 ელექტრონული აუქციონის (ლოტის ნომერი: 699770) შემენილ ს/კ 66.46.20.531.611 უძრავ ქონებაზე (მის: რაიონი გორი, სოფელი კარალეთი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 475 კვ.მ;) აღუდგინოს როინ გოგიაშვილს (პ/ნ 59001105760) საკუთრების უფლების რეგისტრაცია.		მიმდინარეობს პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
107	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	გორის მუნიციპალიტეტის მერია	გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 6565.71 ლარის დაკისრება	6565.71 ლარი	მიმდინარეობს პირველ ინსტანციაში. პირველმა ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა ხანდაზმულობის გამო		მიმდინარე
108	თეა გაბინაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს სერვიტუტს გორს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
109	გოჩა ქოქაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს აუქციონის შედეგების ბათილად ცნობას		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
110	რევაზ ბერძნიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს აქუციონის შედეგების ბათილად ცნობას		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
111	გაბრიელ ფერსაშვილი	მესამე პირი- გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
112	ნანა გიუნაშვილი	მესამე პირი- გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას		საქმე პირველ ინსტანციაში		მიმდინარე
113	ნოდარ და ლალი გელაძეები	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს უნებართვო მშენებლობის გამო ჯარიმის ბათილად ცნობას		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
114	მალხაზ წიკლაური	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს საკუთრების უფლების მოწმობის გაცემაზე უარის თოაბზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობას		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
115	გურამ ქავთარაძე	მესამე პირი- გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს მიწის ნაკვეთის აღიარებას. ასაღიარებელი მიწის ნაკვეთი მოიცავს საერთო სარგებლოს გზას		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
116	გივი ელიაური	მესამე პირი- გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს საკუთრების უფლების რეგისტრაციას. ვერ დგინდება უფლების დამდგენ დოკუმენტით გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
117	გელა მეტრეველი	გორის მუნიციხიპალიტეტის მერია	ითხოვს საკუთრების უფლების მოწმობის გაცემაზე უარის თოაბზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობას		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
118	ზურაბ შიუკაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ითხოვს მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობის ბათილად ცნობას		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე
119	გიორგი გელაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის ბათილად ცნობა (საკუთრების უფლების მოწმობის გაცემაზე უარი, რადგან სახელმწიფოს საკუთრების რეგისტრაცია ფიქსირდებოდა)		პირველმა ინსტანციამ მოთხოვნა არ დაკმაყოფილა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
120	მარინა გორგაძე	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ აქტის ბათილად ცნობა (დაევალოს მერიას გამოსცეს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი -საფლავზე საკუთრების უფლების მოწმობა)		საქმე პირველ ინსტანციაშია		მიმდინარე

121	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ ნატო ლოთიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ ნატო ლოთიშვილისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	960,2	მიმდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
122	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. სოსო იორამაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ სოსო იორამაშვილისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	916,94	მიმდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
123	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. რამაზ აბულაძე	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ რამაზ აბულაძისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	1083,66	მიმდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
124	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. ნინო თუშიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება ი.მ. ნინო თუშიშვილისთვის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	2064,3	მიმდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
125	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს "თმთ"	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება შპს "თმთსთვის" გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	1009,8	მიმდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
126	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს "დიკო"	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება შპს "დიკოსთვის" გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	4358,7	მიმდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
127	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს "საბა"	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება შპს "საბასთვის" გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	538,42	მიმდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
128	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს "ვიპ"	გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებით გათვალისწინებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება შპს "ვიპისთვის" გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ	1509,6	მიმდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
129	ზურაბ ყაჯრიშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე

130	ზაური წკრიალაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
131	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბი	უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა		მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება მერიის სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
132	გორელ ფოტოგრაფთა კლუბი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერია	უზუფრუქტის ხელშეკრულების აღდგენა		მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში		მიმდინარე
133	ოლღა გურწიევა	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ინდ. აქტის ბათილად ცნობა		მიმდინარე სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
134	შპს "გურია ტრანსი"	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის ანაზღაურება	დაუზუსტებელი	მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ჩანიშნულია მოსამზადებელი სხდომა		მიმდინარე
135	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს გერმეტპლასტ (მეტალოპლასტმასი)	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	1167	2024 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა ვალდებულების აღიარების შეთანხმება, რომლის თანახმად მოვალე იღებს ვალდებულებას არსებული დავალიანება გადაიხადოს ეტაპობრივად. საქმე გამოხმობილია	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
136	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ლუგი (გიორგი ალიმბარაშვილი)	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	1217,47	2025 წლის 24 თებერვალს შპს ,,ლუგი" (გიორგი ალიმბარაშვილი) -ის გაუფორმდა ვალდებულების აღიარების შეთანხმება. საქმე გამოხმობილია	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
137	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ კობა მეზადური (ავტოსამრეცხაო)	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	1067	2025 წლის 11 თებერვალს გაუფორმდა ვალდებულების აღიარების შეთანხმება. საქმე გამოხმობილია	გორის მუნიციპალიტეტის მერია	დასრულდა
138	ლია ხითარიშილი, ცისანა კანიაშვილი და ხვიჩა კარელიძე	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გორის მუნიციპალიტეტის მერია (მესამე პირი)	მოსარჩელეები ითხოვენ ქ. გორში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული ს/კ 66.45.25.423 მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის გაუქმებას, სადაც მოქცეულია საკუთრებაში საერთო სარგებლობის გზა, რომელიც დატვირთულია სერვიტუტუთ სხვა მესაკუთრეების სასარგებლოდ		გორის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში		მიმდინარე
139	შპს ლიმასი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გორის მუნიციპალიტეტის მერია (მესამე პირი)	ინდ აქტ. ბათილად ცნობა		მიმდინარე გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
140	ანო წკრიალაშვილი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გორის მუნიციპალიტეტის მერია (მესამე პირი)	ინდ აქტ. ბათილად ცნობა		მიმდინარე გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
141	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ მამუკა დავითულიანი	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	861,84	მიმდინარე გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე

142	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ ლევან თოდაძე	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	936	მიმდინარე გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
143	გორის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ,,ლიდერი"	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	1199,75	მიმდინარე გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე
144	გორის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ ნათელა სამადაშვილი	ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის დაკისრება	853,48	მიმდინარე გორის რაიონულ სასამართლოში		მიმდინარე